საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება N01-02/61

ქ. ბათუმი 02 მაისი 2019 წელი

**2019 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტ ბექა ბახტაძის ტესტირების ჩატარების მიზნით ბსუ-ს საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ**

2019 წლის გაზაფხულის პროფესიულ ტესტირებაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის ორგანიზების მიზნით „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების VII თავის, „2019 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგის განსაზღვრისა და ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კუტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 02 მაისის N557 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2019 წლის 02 მაისის სამსახურებრივი ბარათის N501835 საფუძველზე:

**ვბრძანებ:**

1. 2019 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტ ბექა ბახტაძისათვის ტესტირების ჩატარების მიზნით შეიქმნას ბსუ-ს საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ა) მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - კომისიის თავმჯდომარე;

**ბ) გულადი ფარტენაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერი, კომისიის წევრი;

გ) **მერი ჩიმაკაძე** - ინკლუზიური განათლების სპეციალისტი;

**დ) მიხეილ დონაძე** - პროფესიული განათლების მასწავლებელი, კომისიის წევრი;

2. დაევალოს საგამოცდო კომისიას ჩაუტაროს სალომე დიასამიძეს ტესტირება 2019 წლის 3 მაისს, 12:00 და 13 სთ-ზე (**მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32,**

**აუდიტორიაში), თანახმად** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 02 მაისის N557 ბრძანებისა.

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელია) უზრუნველყოს ბექა ბახტაძის ინფორმირება 2019 წლის 3 მაისს, 12:00 და 13:00 სთ-ზე საგამოცდო კომისიის წინაშე ტესტირების შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და საგამოცდო კომისიის წევრებს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N 30);
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**